სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და საჭიროებების კვლევა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: გიორგი კაკუბავა

საოკუპაციო გამყოფ ხაზებთან მონიტორინგის ვიზიტებში

მონაწილეობდნენ: ალექსი მერებაშვილი,

გიორგი კაკუბავა,

უჩა ნანუაშვილი

2024

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)

დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე

აღმოსაფხვრელად ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

• ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org

• წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org

• ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org

• სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC) www.coalitionfortheicc.org

Norwegian
Helsinki Committee

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის პოზიციას. შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე

სარჩევი

ვიზიტების შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები 5

ვიზიტი დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში 6

ვიზიტი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში 8

ვიზიტი კასპის და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში 10

ვიზიტი კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში 11

რეკომენდაციები 13

წინამდებარე ანგარიშში მიმოხილულია 2024 წლის აპრილის თვიდან 2024 წლის ოქტომბრის თვემდე ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიასა და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შორის გამყოფი ხაზების მახლობლად მდებარე სოფლებში. კერძოდ, გაანალიზებულია უკანონო ბორდერიზაციის, ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებრივ რესურსებზე წვდომის შეზღუდვის, საკუთრების უფლების დარღვევების და იმ სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესების საკითხები, რაც ოკუპაციამ გამოიწვია.

<u>საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა საოკუპაციო ხაზთან მდებარე 14 სოფელი მოინახულეს.</u>

ვიზიტების შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები პროექტის განმავლობაში გასვლითი ვიზიტებით იმყოფებოდნენ კონფლიქტისპირა სოფლებში, სადაც შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მოისმინეს საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოქალაქეების პრობლემები.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის წარმომადგენლები **<u>იმყოფებოდნენ დუშეთის, ქარელის და კასპის მუნიციპალიტეტებში, კერძოდ კი, შემდეგ სოფლებში: გრემისხევი, პეტრიანი, მიქელიანი, ქარქუშაანი, ციხისუბანი, დირბი, ტახტისძირი, დვანი, ქვემო ჭალა, პანტიანი, საკორინთლო, თვაურები, ოძისი.</u>** ორგანიზაციის წარმომადგენლები ვიზიტების ფარგლებში შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მოინახულეს ის ადგილები, სადაც უსაფრთხო იყო გადაადგილება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ყოველი ვიზიტის შემდეგ, ადგილობრივ მაცხოვრებლებთან გასაუბრებისას და ტერიტორიის ადგილზე დათვალიერებისას იდენტიფიცირებული პრობლემების მოგვარების მიზნით, პროაქტიულად მიმართავდა როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს. ამასთან, ორგანიზაციამ პროექტის მიმდინარეობისას გამოითხოვა არაერთი საჯარო ინფორმაცია.

ოკუპაციით გამოწვეულ უსაფრთხოების პრობლემებთან ერთად, ადგილობრივები საუბრობენ სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებზე.

სოფლებში დარჩენილი ზოგიერთი ახალგაზრდა საუბარს თავს არიდებდა. თუმცა, ახალგაზრდების ნაწილი საუბრისას მიუთითებდნენ, რომ თუ სამუშაო ადგილი არ ექნებათ, იფიქრებენ ემიგრაციაში წასვლაზე. ზემოაღნიშნულ სოფლებში მოსახლეობისთვის ძირითადი შემოსავლის წყარო მიწათმოქმედება და

მეცხოველეობაა. მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც სოფლის მეურნეობითაა დაკავებული, ოკუპაციის გამო სხვადასხვა სახის პრობლემები აქვს. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მცირე ნაწილს, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა დარჩენილი, მოსახლეობის ნაწილი სრულყოფილად ვერ იყენებს, რადგან მომეტებული საფრთხის მატარებელია გამყოფ ხაზთან მიწის დამუშავება. ასევე, რიგ შემთხვევებში, მიწების დამუშავებას ზოგიერთ ადგილზე ხელს უშლის გაუმართავი სარწყავი წყლის სისტემა.

ვიზიტების ფარგლებში გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული პრობლემებიც, რომლის მოგვარება გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა სოფლებისთვის მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების საკითხი. მოსახლეობისთვის უცნობია, რა კრიტერიუმებით ხდება სტატუსის განსაზღვრა და რატომ არ სარგებლობენ ადგილობრივები მაღალმთიანი რეგიონებისთვის კანონით განსაზღვრული შეღავათებით.

საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული პრობლემების მოგვარების მიზნით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებმა იმუშაონ კოორდინირებულად და პროაქტიულად. ასევე, მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ მოსახლეობასთან და აწარმოონ მათთან აქტიური კომუნიკაცია/შეხვედრები. მცოცავი ოკუპაციიდან გამომდინარე, საფრთხეების გათვალისწინებით, ამ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა განსაკუთრებით პრიორიტეტული უნდა გახდეს.

ვიზიტი დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში

2024 წლის 12 ივლისს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტში საოკუპაციო ხაზთან მდებარე შემდეგ სოფლებში - **გრემისხევი, პეტრიანი, მიქელიანი, ქარქუშაანი და ციხისუბანი.** ამ სოფლებში მოსახლეობა ოკუპაციით გამოწვეულ პრობლემებთან ერთად მწვავე სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების წინაშე დგას.

აღსანიშნავია, რომ თემთან დასაკავშირებელი ცენტრალური გზა სრულად მოასფალტებულია, რაც მისასალმებელია. ზემოაღნიშნულ **<u>სოფლებს აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური ყოფისთვის მნიშვნელოვანი საკითხია.</u>**

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები 2021 წელსაც იმყოფებოდნენ მითითებულ დასახლებებში.[1] პრობლემები რომელიც აწუხებდათ ადგილობრივებს, 2024 წლის 12 ივლისის მდგომარეობით, ნაწილობრივ მოგვარებულია. საუბნო განათება, წინა ვიზიტებისაგან განსხვავებით, დამონტაჟებულია. წინა ვიზიტისაგან განსხვავებით, დამონტაჟებულია დასახლებული პუნქტების აღმნიშვნელი ბანერებიც. მიუხედავად ნაწილობრივ მოგვარებული პრობლემებისა, კრიტიკულად მნიშვნელოვან პრობლემად კვლავდასახელდა კომუნალური მომსახურებების არარსებობა ან/და არასრულფასოვანი სერვისის მიწოდება. კერძოდ, მითითებულ სოფლებში არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი. რაც შეეხება ელექტროენერგიას, მოუწესრიგებელი ქსელის გამო, ამინდის გაუარესებისას, ხშირად ითიშება ელექტროენერგიის მიწოდება. სარწყავ წყალთან დაკავშირებული პრობლემაც მწვავედ აისახება ადგილობრივების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ოკუპაციამ შეზღუდა მათი წვდომა გარშემო არსებულ ტყესა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე, მცირემიწიანობას ემატება სარწყავი წყლის არარსებობა, რის გამოც ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადგილობრივებს მთელი წლის მოსავალი ვერ აუღიათ.

<u>მიქელიანის მაცხოვრებლებმა განმარტეს,</u> რომ არც ბუნებრივი აირი მიეწოდებათ და არც წყალი. მიუხედავად იმისა, რომ წყლის სისტემა ფაქტობრივად აშენებულია და ყველა ოჯახამდე მიყვანილია მილები, წყლის მიწოდება შეზღუდულია მათთვის გაურკვეველი მიზეზით.

<u>ციხისუბანში ადგილობრივებმა</u> დაასახელეს ტრანსპორტის პრობლემა და განაცხადეს, რომ კვირაში 3 დღე ტრანსპორტი არ არის საკმარისი. მათ გამოთქვეს დამატებითი რეისების დანიშვნის სურვილი.

2024 წლის 17 ივლისს ორგანიზაციამ წერილობითი განცხადებით მიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას. ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოითხოვა ინფორმაცია, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ დაგეგმა თუ არა შესაბამისი პროექტები და პროგრამები გრემისხევში, პეტრიანში, მიქელიანში, ქარქუშაანსა და ციხისუბანში ბუნებრივი აირის მიწოდების, სასმელი წყლის სისტემის სრულად გამართვის, სარწყავი სისტემის მოწყობის, ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და ტრანსპორტის პრობლემების გადასაჭრელად.

2024 წლის 13 ავისტოს წერილით ორგანიზაციას ეცნობა, რომ 2024 წლის დაგეგმილ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებულია შემდეგი პროექტები: მიქელიანში

[1] იხ. ანგარიში - ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, 2022 წ. - https://hrc.ge/files/reports/237saokupacio%20xasis%20sofflebi-geo.pdf

- სკვერის მოწყობა, ქარქუშაანში - ჭაბურღილის მოწყობა, პეტრიანში - წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ციხისუბანში გზის რეაბილიტაცია.[2]

ვიზიტი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში

2024 წლის 19 ივლისს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ქარელის მუნიციპალიტეტში საოკუპაციო ხაზთან მდებარე შემდეგ სოფლებში - **დირბი, ტახტისძირი და დვანი.**

<u>საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ დირბში</u> ადგილობრივები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებისთვის. სხვა აუცილებელ კომუნალურ სერვისებსაც მოსახლეობა იღებს დაუბრკოლებლად.

ადგილობრივების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათი მთავარი წუხილი შეეხება მაღალმთიანი დასახლების სტატუსის უქონლობას. ამასთანავე, პრეტენზია გამოითქვა მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციის ხარვეზებთან დაკავშირებით. როგორც ადგილობრივებმა განმარტეს, სოფელში სრულად არ აუზომავთ მიწის ნაკვეთები და არ იციან, როდის გაგრძელდება ან გაგრძელდება თუ არა რეგისტრაციის პროცესი.

<u>სოფელ ტახტისძირში,</u> სადაც ადგილობრივი მაცხოვრებლების ნაწილმა რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონო ბორდერიზაციის შედეგად დაკარგეს წვდომა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე, დღემდე არ მომხდარა სხვა სანაცვლო მიწის ან კომპენსაციის გაცემა. ადგილობრივებმა ძირითად წუხილად დააფიქსირეს მაღალმთიანი სტატუსის უქონლობა, მაშინ როდესაც მეზობლად მდებარე სოფელ დვანს მინიჭებული ჰქონდა ასეთი სტატუსი. მათთვის გაურკვეველი იყო თუ რატომ არ მიენიჭა მათ სოფელსაც სტატუსი. ტახტისძირის მკვიდრებმაც აღნიშნეს, რომ მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესი სოფელში შეჩერებულია და არ იციან, როდის გაგრძელდება ან გაგრძელდება თუ არა ეს პროცესი. განსაკუთრებული წუხილი გამოხატეს ადგილობრივებმა 2024 წლის ივნისის თვეში სეტყვის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. როგორც დაზარალებულებმა განმარტეს, მიიღეს მხოლოდ დაზიანებული სახურავების შეცვლაში დახმარების დაპირება, ხოლო განადგურებულ მოსავალთან დაკავშირებით არავითარი დაპირება არ მიუღიათ. გარდა ამისა, ადგილობრივებმა მიუთითეს ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ პრობლემაზე. მათი განმარტებით არ არის საკმარისი ის გრაფიკი, რომლითაც მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და საჭიროა დამატებითი რეისების

[2] დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 13 აგვისტოს წერილი.

დანიშვნა, განსაკუთრებით - საღამოს საათებში, რათა ადამიანებმა შეძლონ მუნიციპალური ცენტრიდან სოფელში დაბრუნება.

<u>სოფელ დვანში,</u> მსგავსად სოფელ ტახტისძირისა, ადგილობროვი მაცხოვრებლების ნაწილმა რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონო ბორდერიზაციის შედეგად დაკარგეს წვდომა მიწაზე, მაგრამ არც მათ შემთხვევაში მომხდარა სხვა სანაცვლო მიწის ან კომპენსაციის გაცემა. მიმდინარე წლის ივნისის თვეში მოსულმა სეტყვამ დვანელებიც დააზარალა. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით აქაც იგივე წუხილი გამოითქვა, რაც ტახტისძირში. ადგილობრივებმა დაასახელეს სარწყავი და სასმელი წყლის პრობლემა. განმარტეს, რომ სოფელს აქვს სასმელი წყლის მიწოდების სისტემა, მაგრამ ყველა უბანს ვერ მიეწოდება წყალი. სოფელ დვანს, ტახტისძირისაგან განსხვავებით, მინიჭებული აქვს მაღალმთანი დასახლების სტატუსი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2024 წლის 22 ივლისს წერილობით მიმართა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას, იუსტიციის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, მთის განვითარების ეროვნულ საბჭოს. ორგანიზაციამ გამოითხოვა ინფორმაცია თუ რას გეგმავდნენ უწყებები ზემოაღნიშნულ სოფლებში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით.

2024 წლის 29 ივლისს ორგანიზაციამ მიიღო ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი. მერიის წერილის თანახმად, ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურმა დვანსა და ტახტისძირში ადგილზე შეისწავლა მიმდინარე წლის ივნისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ყველა საცხოვრებელი ფართი და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 ივლისის № 956 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხით, მოხდება აღნიშნული ოჯახების დახმარება.

ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებით, ორგანიზაციას ეცნობა, რომ დვანის და ტახტისძირის მოსახლეობის მხრიდან მგზავრთა გადაყვანასთან დაკავშირებით დამატებითი რეისების დანიშვნის შესახებ საკითხი მუნიციპალიტეტის მერიაში არ დამდგარა. თუ აღნიშნული საკითხი დადგება სოფლების დვანის და ტახტისძირის მოსახლეობის მხრიდან, მუნიციპალიტეტი აუცილებლად განიხილავს მას და გაუწევს შუამდგომლობას მგზავრთა გადაყვანაზე პასუხისმგებელ ადგილობრივ კომპანიასთან, ამ საკითხის მოსაგვარებლად. ასევე სოფელ დვანის მოსახლეობის მხრიდან არ დასმულა საკითხი სასმელი წყლის პრობლემასთან დაკავშირებით და თუ ეს საკითხი დადგება სოფლის მოსახლეობის მხრიდან, ქარელის მუნიციპალიტეტის მერია მზადაა შეისწავლოს და მოაგვაროს, შესაძლებლობის ფარგლებში.

რაც შეეხება სისტემური რეგისტრაციის საკითხს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები ახორციელებენ მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესს ქარელის მუნიციპალიტეტში, მათ შორის სოფლებში - დირბი, დვანი და ტახტისძირის ტერიტორიებზე. ეს პროცესი მიმდინარეობს ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის აქტიური ჩართულობით და ნებისმიერ მოქალაქეს ვისაც ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელი აქვს ტერიტორია და გამოთქვამს მიწის აზომვის სურვილს, ინდივიდუალურად უნდა მიმართონ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.[3]

ვიზიტი კასპის და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში

2024 წლის 14 ივლისს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტში საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ თვაურებში და დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებულ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ოძისში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვაურებში 2021 წლის 27 აპრილსაც იმყოფებოდნენ.[4] უნდა აღინიშნოს, რომ წინა ვიზიტისაგან განსხვავებით, სოფელ თვაურებში განთავსებული ბლოკსაგუშაგოდან სოფლის გასასვლელამდე (საოკუპაციო ხაზის მიმართულებით) გზაზე გარეგანათება დამონტაჟებულია, მაგრამ გზა კვლავ მოუწესრიგებელია. ნაწილობრივ მოგვარებულია ე.წ. რიტუალების დარბაზთან და ამბულატორიასთან გამავალი სარწყავი არხის საკითხი.

ადგილობრივების განმარტებით, სოფელში სრულად არ არის გამართული წყლის მიწოდების სისტემა, წყლის მილები არ არის მიყვანილი ყველა ოჯახამდე. შესაბამისად, ოჯახების ნაწილს უწევს წყლის ზიდვა სოფელში არსებული ონკანებიდან ან მეზობლების ჭებიდან, ნაწილი კი სარგებლობს საკუთარი ჭებით. ადგილობრივებმა შევხედრისას აღნიშნეს, რომ ე.წ. რიტუალების დარბაზის მშენებლობა იყო შეჩერებული, მაგრამ არ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ რა გეგმები აქვს კასპის მუნიცპალიტეტის მერიას ამ შენობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში განთავსებულია ამბულატორია, მას არ ექცევა სათანადო ყურადღება. ამბულატორიის ნაგებობას სამხრეთით ჩამოუდის სარწყავი არხი და შეიძლება ითქვას, რომ საძირკველი არის მუდმივად ნესტიანი. გარდა ამისა, ამბულატორიის აღმოსავლეთ მხარეს დაზიანებულია შენობაში შემავალი სასმელი წყლის მილი, საიდანაც მაღალი წნევით მუდმივ რეჟიმში

[3] ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 ივლისის წერილი.
[4] იხ. ანგარიში - ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, 2022 წ. - https://hrc.ge/files/reports/237saokupacio%20xasis%20sofflebi-geo.pdf

მოედინება წყალი და ასველებს ნაგებობის აღმოსავლეთ მხარეს, როგორც კედელს, ისე იატაკსა და საძირკველს. როგორც ადგილობრივებმა განგვიმარტეს მილი დიდი ხნის დაზიანებულია და არ ხდება მისი შეკეთება. ამის გამო, ამბულატორიის იატაკი სრულიად ამორტიზებულია და მასზე გადაადგილება საფრთხის შემცველია, როგორც იქ მომუშავე სამედიცინო პერსონალისთვის, ისე პაციენტებისთვის.

<u>დუშეთის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ოძისში მცხოვრები პირები</u> მწვავე პრობლემად ასახელებენ სასმელი წყლის საკითხს. მათი განმარტებით, სოფლის ნაწილს სასმელი წყალი საერთოდ არ მიეწოდება ან მიეწოდება გრაფიკით. გამოხატეს დიდი სურვილი, რომ ეს პრობლემა გადაწყვეტილიყო მუნიციპალიტეტის მიერ, თუნდაც დამატებითი ჭაბურღილის მოწყობით. სასმელ წყალთან ერთად, დასახელდა სარწყავი წყლის პრობლემაც. სოფლის მაცხოვრებლებმა აღნიშნეს, რომ საკუთარი ძალებით ვერ ახერხებენ სარწყავი სისტემისა და მისი სათავე ნაგებობის გაწმენდას, საჭიროა სამუშაოებში ჩაერთოს მძიმე ტექნიკა, რათა გაიწმინდოს არხები და ნაკვეთებამდე მივიდეს სარწყავი წყალი. ამასთანავე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა შიდა გზების ინფრასტრუქტურული გაუმართაობა. მიუხედავად იმისა, რომ სოფლამდე მისასვლელი ცენტრალური გზა მოასფალტებულია, სოფელში შიდა გზები ამორტიზებულია და საჭიროებს კეთილმოწყობას.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთების სისტემურ რეგისტრაციას, ადგილობრივებმა განმარტეს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს სრულად არ აუზომავთ მიწის ნაკვეთები (ძირითადად - სოფელთან მდებარე სათიბი ფართობები) და არ იციან როდის გაგრძელდება ან გაგრძელდება თუ არა სარეგისტრაციო პროცესი ამ კუთხით.

2024 წლის 29 ივლისს ადამიანის უფლებათა ცენტრმა წერილობითი განცხადებებით მიმართა კასპისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. ორგანიზაციამ მოითხოვა ინფორმაცია, იგეგმებებოდა, თუ არა ზემოაღნიშნულ სოფლებში პრობლემების გადაჭრა. ამ ეტაპზე მერიისგან ორგანიზაციას პასუხი არ მიუღია.

ვიზიტი კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში

2024 წლის 4 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტში საოკუპაციო ხაზთან მდებარე შემდეგ სოფლებში - ქვემო ჭალა, პანტიანი და საკორინთლო. ოკუპაციით გამოწვეულ

პრობლემებთან ერთად, ადგილობრივებს აწუხებთ რიგი სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, რომელთა მოუგვარებლობა საბოლოოდ იწვევს მიგრაციას და სოფლების დაცლას.

<u>სოფელ ქვემო ჭალაში</u> ძირითად პრობლემურ საკითხად ასახელებენ იმ ფაქტს, რომ არ სარგებლობენ არც მაღალმთიანი დასახლების და არც საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლის სტატუსით. შესაბამისად, ადგილობრივებს ვერცერთი სტატუსით დადგენილი შეღავათები ვერ ეხებათ, მაშინ როდესაც ამავე თემში შემავალი სხვა სოფლები სარგებლობენ შეღავათებით. ადგილობრივებმა დიდი სურვილი გამოთქვეს, რომ მათზე გავრცელდეს, როგორც მაღალმთიანი დასახლების, ისე საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებისთვის გათვალისწინებული შეღავათები.

<u>სოფელ პანტიანში</u> დაფიქსირდა სარწყავი წყლის პრობლემა, რის გამოც მოსახლეობა სასმელ წყალს იყენებს მოსავლის მოსარწყავად. ეს თავის მხრივ, იწვევს სასმელი წყლის მიწოდების დეფიციტს. როგორც ადგილობრივებმა განმარტეს, საჭიროა სარწყავი არხების მოწესრიგება, რაც მოაგვარებს სოფლისთვის სარწყავი წყლის მიწოდების პრობლემას. სოფლის შესასვლელში არ არის დასახლების აღმნიშვნელი ბანერი. ახალგაზრდებისთვის არ არის სპორტული მოედანი. ერთ-ერთმა ადგილობრივმა განმარტა, რომ ე.წ. „დაჩების“ დასახლებაში მოსაწესრიგებელია შიდა საუბნო გზა, საჭიროა მხოლოდ მძიმე ტექნიკის გატარება, რათა მოსწორდეს გზა და მოიხრეშოს.

საკორინთლოს მიმართულებით, სოფელში შესვლამდე ადგილობრივებმა განაცხადეს, რომ ორგანიზაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ **ახალშენში,** მაგრამ ვერ დაგვიზუსტეს, ეს იყო ცალკე სოფელი თუ ეკუთვნოდა რომელმე სოფლის (ქვემო ჭალა ან საკორინთლო) უბანს. არ იყო დამონტაჟებული დასახლების აღმნიშვნელი ბანერი. ძირითად პრობლემად დასახელდა მაღალმთიანი დასახლების სტატუსის არქონა. ადგილობრივები აცხადებდნენ, რომ იმ პირობებში, როდესაც სოფელ საკორინთლოს მოსახლეობა სარგებლობდა მაღალმთიანი დასახლების სტატუსით განსაზღვრული შეღავათებით, თავადაც ჰქონდათ დიდი სურვილი ესარგებლათ ამ შეღავათებით.

<u>სოფელ საკორინთლოში</u> ძირითად პრობლემად დასახელდა სარწყავი წყლის არარსებობა, რამაც ამ სოფელში გამოიწვია ერთ-ერთი წამყვანი დარგის - მევენახეობის განვითარების შეფერხება და შემდგომ - შეწყვეტაც, რადგან უწყლობით გახმა ვენახები. მათი განმარტებით, საკორინთლოს ღვინო გამოირჩეოდა და ცნობილი იყო თავისი გემოვნური თვისებებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2024 წლის 12 სექტემბერს წერილობითი განცხადებით მიმართა კასპის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ინფორმაცია მითითებულ

სოფლებში არსებული პრობლემების გადაჭრის თაობაზე. ამ ეტაპზე ორგანიზაციას პასუხი არ მიუღია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.

რეკომენდაციები

წინამდებარე დოკუმენტში ასახული რეკომენდაციების შესრულება აუცილებელია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიასა და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შორის გამყოფი ხაზების მახლობლად მდებარე სოფლებში მოსახლეობის სოციალური პრობლემებისა და უფლებების გაუმჯობესებისთვის.

<u>დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას:</u>

- მიქელიანის მაცხოვრებლებისთვის დროულად მოგვარდეს ბუნებრივი აირის და წყლის მიწოდების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ წყლის სისტემა ფაქტობრივად აშენებულია და ყველა ოჯახამდე მიყვანილია მილები, წყლის მიწოდება შეზღუდულია;
- ციხისუბნის მაცხოვრებლებისთვის დროულად მოგვარდეს ტრანსპორტის პრობლემა. კვირაში 3 დღე ტრანსპორტის მომსახურება არ არის საკმარისი.
- ოძისში მცხოვრები პირებისთვის დროულად გადაიჭრას სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა.

ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას:

- დირბისთვის და ტახტისძირისთვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების საკითხის გადასაჭრელად მიმართონ მთის განვითარების ეროვნულ საბჭოს, რათა მოსახლეობამ ისარგებლოს შემდგომში კანონით დადგენილი შეღავათებით;
- დვანის მაცხოვრებლებისთვის დროულად მოგვარდეს წყალის მიწოდების საკითხი.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიას და ჯანდაცვის სამინისტროს

- დროულად მოგვარდეს სოფელ თვაურებში წყლის მილების სისტემის გაყვანის საკითხი;
- კრიტიკულად მნიშვნელოვანია დროულად მოგვარდეს სოფელ თვაურებში არსებული ამბულატორიის ინფრასტრუქტურული და ტექნიკური პრობლემები.